პრევენცია
დაცვა
გადაწყვეტა

იძულებითი გადაადგილების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპების მე-20 წლისთავი: იძულებითი გადაადგილების ეფექტიანი პრევენციის, იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვის და მათი პრობლემების გადაწყვეტის სამოქმედო გეგმა 2018 – 2020
2018 წლის 23 მაისი

რეზიუმე

ეს მოქმედების გეგმა მიღებული იქნა იძულებითი გადაადგილების სახელმძღვანელო პრინციპების მიღების მე-20 წლისთავის აღსანიშნავად (შემდგომში, GP20), რათა მრავალი დაინტერესებული მხარის მონაწილეობის კონცენტრირებითა და გაძლიერებით უზრუნველყოფილი იქნეს იძულებითი გადაადგილების შემცირება და მოგვარება დევნილობის პრევენციის, იძულებით გადაადგილებულ პირთა (იგპ) დაცვისა და მათი პრობლემების გადაწყვეტის გზით. ამ მიზნის მისაღწევად საჭირო მოქმედება, უპირველეს ყოვლისა, უნდა განხორციელდეს ეროვნულ დონეზე, თუმცა, ასევე, რეგიონულ და გლობალურ დონეებზეც.

ეს მოქმედების გეგმა კონცენტრირებულია ოთხ პრიორიტეტულ საკითხზე, რომლებიც იძულებით გადაადგილებულ პირთა გაეროს სპეციალური მომხსენებლის ინიციატივით, 2017 წელს გამართულ იგპ დაინტერესებულ სუბიექტთა შეხვედრაზე იქნა განსაზღვრული. ეს საკითხებია: იგპ-თა მონაწილეობა; იძულებით გადაადგილებასთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობა და პოლიტიკა; იძულებითი გადაადგილების შესახებ მონაცემები და ანალიზი; და გაჭიანურებული დევნილობის მოგვარება და გრძელვადიანი გადაწყვეტის ხელშეწყობა. ამ საკითხების თანამშრომლობის საფუძველზე გადაწყვეტა მოახდენს ცვლილებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს სამოქმედო გეგმის მიზნის მიღწევას და საფუძველს შექმნის იძულებითი გადაადგილების მოგვარებაზე ორიენტირებული მაღალი დონის ინიციატივისთვის.

უნდა მოხდეს ეროვნული და ადგილობრივი ორგანოების, იძულებით გადაადგილებული პირების, მასპინძელი ადგილობრივი თემების, გაეროს სტრუქტურების, არასამთავრობო ორგანიზაციების, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო მოძრაობის, მეცნიერების, განვითარების ფინანსური

ინსტიტუტების, ადამიანის უფლებათა ორგანიზაციებისა და კერძო სექტორის კონსოლიდირება ამ სამოქმედო გეგმის მიზნისა და ამოცანების გარშემო და განხორციელდეს ინდივიდუალური და კოლექტიური მოქმედება მის მხარდასაჭერად. დაინტერესებულმა მხარეებმა შეიძლება ისურვონ ამ დოკუმენტში შეთავაზებული ღონისძიებების განხორციელება, ან გადადგან უფრო გაბედული ნაბიჯები, განსაკუთრებით ისეთ სიტუაციებში, როდესაც იძულებით გადაადგილებული პირები განსაკუთრებული რისკის წინაშე დგანან დაცვის თვალსაზრისით და შეზღუდულია წვდომა ჰუმანიტარულ დახმარებაზე.

ამ ამოცანის განსაზღვრა და ხორცშესხმა დაინტერესებული მხარეებისაგან მოითხოვს მათ მიერ დაგეგმილი და მოსალოდნელი აქტივობებისა და ინიციატივების გაზიარებას GP20-ის კოორდინატორთან (ელ. მისამართი: GP20@unhcr.org). სამეთვალყურეო ჯგუფი ზედამხედველობას გაუწევს სამწლიანი სამოქმედო გეგმის განხორციელებასა და მონიტორინგს, და ამავდროულად ხელს შეუწყობს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობასა და თანამშრომლობას ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ დონეზე იძულებითი გადაადგილების შემცირებისა და მოგვარების მიზნით - დევნილობის პრევენციის, იძულებით გადაადგილებულ პირთა (იგპ) დაცვისა და მათი პრობლემების გადაწყვეტის გზით, იძულებითი გადაადგილების სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად.

რაციონალური დასაბუთება

იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ 2017 წლის რეზოლუციაში, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ, სახელმწიფოებს, გაეროს ინსტიტუტებს, იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხებში გაეროს სპეციალურ მომხსენებელს, რეგიონულ ორგანიზაციებს, ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს მოუწოდა, 2018 წელს აღენიშნათ იძულებით გადადგილებულ პირთა შესახებ სახელმძღვანელო პრინციპების მე-20 წლისთავი (შემდგომში, სახელმძღვანელო პრინციპები).[1] იძულებითი გადაადგილება, როგორც ჰუმანიტარული განვითარების სფეროში არსებული გამოწვევა, რომელიც ადამიანის კომპლექსურ უფლებებთან არის დაკავშირებული, მრავალდარგობრივ მიდგომას და მრავალი მხარის ჩართულობას მოითხოვს. ამრიგად, ეს სამოქმედო გეგმა ემსახურება გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციის განხორციელებას, რომელიც იძულებითი გადაადგილების სფეროში ჩართულ მხარეებს მოუწოდებს, უფრო ეფექტიანად და ერთობლივად იმუშაონ ქვეყნის შიგნით გადაადგილების სფეროში, რათა ხელი შეუწყონ საერთო მიზნის მიღწევას, რომელიც ითვალისწინებს იძულებითი გადაადგილების შემცირებასა და მოგვარებას დევნილობის პრევენციის,

[1] გაეროს გენერალური ასამბლეა, 2017 წლის 14 ნოემბერი, იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვა და დახმარება, A/C.3/72/L.46/Rev.1, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://undocs.org/A/C.3/72/L.46/Rev.1

იძულებით გადაადგილებულ პირთა (იგპ) დაცვისა და მათი პრობლემების გადაწყვეტის გზით.

ამ სამუშაოსთვის შესაბამისი და საერთაშორისოდ აღიარებული ჩარჩო ზემოხსენებული სახელმძღვანელო პრინციპებია, რომელიც ყურადღებას ამახვილებს შემდეგ საკითხებზე: 'სუვერენობა, როგორც პასუხისმგებლობა'; იძულებით გადაადგილებულ პირთა მონაწილეობა იმ გადაწყვეტილებათა მიღებაში, რომლებიც მათზე ახდენს ზემოქმედებას; და მათი გამოყენების შესაძლებლობა იძულებითი გადაადგილების პრევენციისთვის პრობლემათა გადაწყვეტის მეშვეობით. გაეროს გენერალურმა ასამბლეამ რამდენიმეჯერ აღნიშნა,[2] რომ სახელმძღვანელო პრინციპები არის ავტორიტეტული და კიდევ ერთხელ ადასტურებს იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებებს, როგორც ეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში და საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალშია დადგენილი. იძულებით გადაადგილებული პირები წარმოადგენენ კონკრეტულ ჯგუფს, რომელსაც განსხვავებული დაცვა და დახმარება სჭირდება, რაც მათი იძულებითი გადაადგილებით არის გამოწვეული. ვინაიდან მათ არ დაუტოვებიათ ქვეყანა, არ დგას სამართლებრივი სტატუსის შეცვლის საჭიროება და, აქედან გამომდინარე, მათი დაცვა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს. მიუხედავად ამისა, მაინც ბევრი რამ არის გასაკეთებელი სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ ცნობიერებისა და ცოდნის ამაღლებისა და მათი პრაქტიკაში გამოყენებისთვის. ამიტომ, ამ პრინციპების მიღებიდან მე-20 წლისთავის აღნიშვნა კარგ შესაძლებლობას იძლევა მრავალწლიანი მოქმედების განსამტკიცებლად, რომელიც იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვის, იძულებითი გადაადგილების პრევენციისა და ამ პრობლემის მოგვარების მიზანზეა ორიენტირებული.

დღეისათვის მიღწეული პროგრესი

1990-იანი წლების დასაწყისიდან, როდესაც ქვეყნის შიგნით გადაადგილება გლობალურ ფენომენად იქნა აღიარებული, იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვის გაძლიერებისა და კოორდინირების მობილიზების თვალსაზრისით პროგრესი იქნა მიღწეული.[3] ეს მოიცავს სამართლებრივი სტანდარტების განვითარებას, რომელთა შორის პირველი იყო 1998 წლის სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებმაც მნიშვნელოვანი საფუძველი შექმნა, მაგალითად, 'იძულებით გადაადგილებულ პირთა დიდი ტბების პაქტის ოქმის' (2006 წ.) და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვისა და დახმარების აფრიკის კავშირის კონვენციისთვის („კამპალას კონვენცია", 2009). ამ სტანდარტებმა და სხვა საკვანძო რეკომენდაციებმა იძულებითი გადაადგილების

[2]გაეროს გენერალური ასამბლეა, რეზოლუცია 60/1. 2005 მსოფლიო სამიტის შედეგები, A/RES/60/1, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.un.org/womenwatch/ods/A-RES-60-1-E.pdf

[3] გაეროს ადამიანის უფლებათა კომისია, 55-ე შეხვედრა, 1992/73, იძულებით გადაადგილებული პირები, 1992 წლის 5 მარტი, http://www.ohchr.org/Documents/Issues/IDPersons/E%20CN.4_RES_1992_73.pdf

სფეროში ათობით ეროვნული სტრატეგიული დოკუმენტისა და კანონის შექმნას შეუწყო ხელი და მრავალ სახელმწიფოს დაეხმარა ქვეყნის შიგნით გადაადგილებაზე ეფექტური რეაგირების მექანიზმების ჩამოყალიბებაში. 2015 წლის გლობალური კონსულტაციების დროს 'ნანსენის ინიციატივის დაცვის პროგრამის' 100-ზე მეტი სახელმწიფოს მიერ დამტკიცება[4] ცხადყოფს, რომ დევნილობის გამოწვევები ფართოდაა აღიარებული.

პროგრესის კიდევ ერთი მაჩვენებელია დევნილობის მზარდი აღიარება კომპლექსური განვითარების გამოწვევად, რომელიც ამავდროულად ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული სფეროს საკითხს მიეკუთვნება. სახელმწიფოებმა ხაზგასმით აღნიშნეს კავშირი ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებასა და განვითარებას შორის და 2030 მდგრადი განვითარების პროგრამაში ვალდებულება აიღეს, რომ 'არავის დატოვებდნენ უკან', იძულებით გადაადგილებულ პირთა ჩათვლით.[5]

ამავდროულად ძლიერდება დევნილობის საკითხებში განვითარების აქტორთა ჩართვის ძალისხმევა ჰუმანიტარულ ორგანიზაციებთან კოორდინირებით.[6] გარდა ამისა, ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებაზე საერთაშორისო რეაგირების გაძლიერებას ხელს უწყობს ძირითადი რეფორმები, როგორიცაა, უწყებათაშორისი მუდმივმოქმედი კომიტეტის (IASC) კლასტერული სისტემის შემოღება, მათ შორის, გაძლიერებული კოორდინაციისა და კონკრეტული ინსტიტუტისთვის შესაფერისი პოლიტიკის შემუშავების გზით.

ამ მოვლენათა განვითარების დიდი წილი, სახელმძღვანელო პრინციპების შემუშვების ჩათვლით, იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხებში გაეროს გენერალური მდივნის წარმოამდგენლის მანდატის ნაწილს შეადგენს. ეს პოსტი 1992 წელს შეიქმნა, ხოლო 2004 წელს მას ეწოდა გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენელი იძულებით გადადგილებულ პირთა ადამიანის უფლებათა საკითხებში, რომელიც

---

[4] ბუნებრივი კატასტროფებისა და კლიმატის ცვლილებების კონტექსტში ტრანსსასაზღვრო გადაადგილებულ პირთა დაცვის პროგრამა. პროგრამა აღიარებს, რომ ქვეყნების შიგნით გადაადგილება ძირითადად კატასტროფების გამო ხდება და რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია (გვ. 9).

[5] გაეროს გენერალური ასამბლეა, 2015 წლის 25 სექტემბერი, ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: მდგრადი განვითარების პროგრამა 2030, პარ. 23, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.un.org/ga/search/view_doc.asp?symbol=A/RES/70/1&Lang=E

[6] გაეროს გენერალური ასამბლეა, 2017 წლის 14 ნოემბერი, იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვა და მათთვის დახმარების გაწევა, A/C.3/72/L.46/Rev.1; იხ. აგრეთვე, მსოფლიო ბანკი, 2016, იძულებითი გადაადგილება: ლტოლვილთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა და მათი მასპინძლების დახმარების შემუშავებისკენ, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.worldbank.org/en/events/2016/09/15/report-launch-forcibly-displaced-toward-a-development-approachsupporting-refugees-the-internally-displaced-and-their-hosts, მსოფლიო ბანკი, 2009, იძულებითი გადაადგილება: განვითარების გამოწვევები, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://openknowledge.worldbank.org/bitstream/handle/10986/27717/638920WP0Force00Box0361531B0PUBLIC0.pdf?sequence=1&isAllowed=y; და გაეროს განვითარების პროგრამა, დაუთარიღებელი, მდგრადი განვითარება, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.undp.org/content/undp/en/home/sustainabledevelopment/economic-recovery/migration-and-displacement.html

2010 წელს შეიცვალა იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხებში გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური მომხსენებლის მანდატით (შემდგომში, სპეციალური მომხსენებელი), რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იძულებითი გადაადგილების კონტექსტში ადამიანის უფლებების, ჰუმანიტარული და განვითარების განზომილებების მნიშვნელობის თვალსაჩინოდ წარმოჩენაში. ამასთანავე, მისი მეშვეობით უკეთ გამოიკვეთა ეროვნული პასუხისმგებლობა იგპ-თა პრევენციის, დაცვისა და მათი პრობლემების გადაჭრაში, რისთვისაც შემუშავებულ იქნა კონკრეტული რეკომენდაციები მთავრობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ორიენტირებულია ქვეყნის შიგნით დევნილობასთან დაკავშირებული გამოწვევების რეგულირებაზე და მოუწოდებს, რომ თავიანთ თემატურ მოხსენებებში ყურადღება გაამახვილონ იძულებითი გადაადგილების გლობალური საკითხებიდან მომდინარე გამოწვევებზე.

პრობლემის ფორმულირება

აღნიშნული მიღწევების მიუხედავად, ათეული წლების განმავლობაში აღმავალი ტრაექტორიით იზრდება დევნილთა რაოდენობა. 2016 წლის ბოლოსთვის კონფლიქტებისა და ძალადობის შედეგად 40 მილიონი ადამიანი იყო იძულებით გადაადგილებული, ხოლო იმავე წელს, მხოლოდ ბუნებრივი კატასტროფების შედეგად 24 მილიონ ადამიანს მოუწია გადაადგილება.[7] არსებული შეფასებით, კიდევ 15 მილიონი ადამიანის იძულებითი გადაადგილება ხდება ყოველწლიურად განვითარების პროექტების განხორციელების გამო - იძულებითი გადაადგილების გამომწვევი ეს მიზეზი აღიარებულია როგორც სახელმძღვანელო პრინციპებში, ისე „კამპალას კონვენციაში".[8] გადაადგილების მილიონობით შემთხვევის სისტემატური აღრიცხვა არ ხდება, მათ შორის ისეთების რომელიც გამოწვეულია მიწის მიტაცებით, კრიმინალური ძალადობით და ნელა მიმდინარე კატასტროფებით (მაგალითად, გვალვით). ეს აღმავალი ტენდენცია შემსუბუქების იმედს არ იძლევა, რამეთუ პროგნოზები გვკარნახობს, რომ 2050 წლისთვის მხოლოდ კლიმატის ცვლილების გამო 143 მილიონ ადამიანს მოუწევს მკვიდრი ადგილებიდან აყრა.[9] ამით შეიძლება კიდევ უფრო დაჩქარდეს გლობალური ურბანიზაცია, ვინაიდან ადგილმონაცვლეები გადაადგილდებიან სოფლიდან ქალაქში და ქალაქებს შორის, რაც ურბანულ სისტემებზე მოთხოვნას ზრდის.

---

[7] იძულებითი გადაადგილების მონიტორინგის ცენტრი, 2017 წლის მაისი, გლობალური მოხსენება იძულებითი გადაადგილების შესახებ, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.internaldisplacement.org/global-report/grid2017/pdfs/2017-GRID-part-1.pdf

[8] მაიკლ კარნეა, 2007. IRR: An Operational Risks Reduction Model for Population Resettlement. *Hydro Nepal: Journal of Water, Energy and Environment* 1(1): 35-39.

[9] მსოფლიო ბანკი, Groundswell: Preparing for Internal Climate Migration, 2018 წლის მარტი, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://openknowledge.worldbank.org/bitstream/handle/10986/29461/WBG_ClimateChange_Final.pdf

ახალ და გაჭიანურებულ იძულებით გადაადგილებას სხვადასხვა ფაქტორი უწყობს ხელს. ზოგ სახელმწიფოს აქვს არასაკმარისი შესაძლებლობა და/ან სურვილი, აღიაროს და შეასრულოს თავისი მოვალეობები იგპ-თა მიმართ და მიაღწიოს პროგრესს გრძელვადიანი გადაწყვეტის გზაზე. ზოგ შემთხვევებში ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებაზე რეაგირებისთვის ხელსაყრელი გარემოება უშედეგოდ გაუჩინარდა, რადგან იგი სახელმწიფოს სუვერენიტეტში ჩარევად იქნა მიჩნეული, თუმცა სუვერენიტეტი და სახელმწიფოს მხრიდან იგპ-თა დაცვის უპირველესი მოვალეობა ურთიერთშემავსებელი ცნებებია.[10] ამავდროულად, იგპ-თა დაცვის გადაუდებელ საჭიროებაზე ჰუმანიტარული რეაგირების თანმიმდევრულობა და სანდოობა შეზღუდულია, არასათანადოდ არიან ჩართული განვითარების აქტორები და, ამავდროულად, ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილების საკითხს გაერო ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს.

ამ ფაქტორების ერთობლიობა ართულებს იმ გარემოებებზე რეაგირებას, რომლებიც ხელს უწყობს კრიზისებისა და იძულებითი გადაადგილების წარმოშობას, ასევე, გადაადგილების სიტუაციების მოგვარებას, რომლებისთვისაც დამახასიათებელია სამართლებრივ დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები და ჰუმანიტარულ დახმარებაზე შეზღუდული წვდომა.

ცვლილების პრიორიტეტები

2017 წლის სექტემბერში, ჟენევაში ჩატარებულ იგპ დაინტერესებულ მხარეთა შეხვედრაზე და ამ მოქმედების გეგმაზე მიმდინარე კონსულტაციების განმავლობაში, რომელსაც სპეციალური მომხსენებლი წარმართავდა, იძულებითი გადაადგილების სფეროში უფრო სტრატეგიული, კოორდინირებული და თანამშრომლობაზე დაფუძნებული მოქმედებისთვის ოთხი პრიორიტეტი იქნა განსაზღვრული. ეს საკითხებია: იგპ-თა მონაწილეობა; ეროვნული კანონი და პოლიტიკა იძულებითი გადაადგილების შესახებ; იძულებითი გადაადგილების მონაცემები და ანალიზი; და გაჭიანურებულ იძულებით გადაადგილებაზე რეაგირება. ამ ოთხ საკითხზე დაინტერესებულ მხარეთა თანამშრომლობა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ცვლილებების მისაღწევად, რომლებიც საჭიროა იძულებითი გადაადგილების შემცირებისა და მოგვარებისთვის - გადაადგილების ეფექტიანი პრევენციის, იძულებით გადადგილებულ პირთა დაცვისა და მათი პრობლემების გადაწყვეტის გზით, რაც ამ მოქმედების გეგმის მიზანს წარმოადგენს.

[10] ფ. დენი და სხვები, 1996, სუვერენიტეტი პასუხისმგებლობაა: კონფლიქტის მართვა აფრიკაში, Brookings Institution Press

იძულებით გადაადგილებულ პირთა მონაწილეობა

იძულებით გადაადგილებული პირები აცხადებენ, რომ მათ გადაადგილების არც ერთ ეტაპზე არა აქვთ საკმარისი ინფორმაცია.[11] მათი კონსულტაციებისა და მონაწილეობის მექანიზმები და პროცესები არ არსებობს ან შესაფერი არ არის, ხოლო გადაწყვეტილებების მიღებისას მათი შეხედულებების, საჭიროებების და ამოცანების სრულად გათვალისწინება ვერ ხდება. იძულებით გაადაადგილებულ პირებთან დაკავშირებული მოქმედებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებაში, დაგეგმვასა და განხორციელებაში აგრეთვე მონაწილეობა უნდა მიიღონ მასპინძელმა და მიმღებმა ოჯახებმა და თემებმა, რომლებიც მათ დაცვასა და მათი პრობლემების მოგვარებაში გადამწყვეტ როლს ასრულებენ.

ეროვნული კანონმდებლობა და პოლიტიკა ქვეყნის შიგნით იძულებითი გადაადგილების სფეროში

შესაბამის ეროვნულ კანონებსა და პოლიტიკის დოკუმენტებში იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხები ან საერთოდ არ არის გათვალისწინებული, ან არასაკმარისად არის მათში ინტეგრირებული, განვითარების, ინვესტირების და შესაბამისი სექტორული დაგეგმვის სტრატეგიების ჩათვლით. ამავდროულად, ვერ ხდება ადეკვატური ფინანსური რესურსების მობილიზება ქვეყნის შიგნით იძულებითი გადაადგილების მოსაგვარებლად და არ არსებობს ან სუსტია გრძელვადიანი გადაწყვეტის სტრატეგიები. იქ, სადაც პოლიტიკური ნება არსებობს, იძულებით გადაადგილებასთან დაკავშირებული კანონებისა და პოლიტიკის დოკუმენტების შესრულება ხშირად შეზღუდულია.

ქვეყნის შიგნით იძულებითი გადაადგილების მონაცემები და ანალიზი

ქვეყნის შიგნით იძულებითი გადაადგილების შესახებ ხარისხობრივი მონაცემები და მათი ანალიზი ხშირად ძალზე მწირია. ეს ეხება იგპ-თა რაოდენობას - ასაკის, სქესის, ადგილმდებარეობისა და მრავალფეროვნების მიხედვით. არ არის მონაცემები მათი საჭიროებების, გეგმებისა და შესაძლებლობების შესახებ, რაც მასპინძელ თემთან მათი შედარების საშუალებას მოგვცემდა; ასევე, არასაკმარისია ინფორმაცია გრძელვადიანი გადაწყვეტის გზაზე მათი მიღწევების შესახებ.[12] ეს აფერხებს ეფექტიანი პოლიტიკის

---

[11] გაეროს სპეციალური მომხსენებელი იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებათა საკითხებზე, 2017 წლის 24 ივლისი, სპეციალური მომხენებლის ანგარიში იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებათა შესახებ, A/72/202, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.ohchr.org/Documents/Issues/IDPersons/A-72-202.pdf

[12] ლტოლვილთა და იგპ-თა სტატისტიკის ექსპერტთა ჯგუფი გაეროს სტატისტიკური კომისიის მიერ იქნა შექმნილი, იგპ-თა მდგომარეობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების შექმნის მიზნით. მათი მოხსენებები გაეროს სტატისტიკურმა კომისიამ 2018 წლის მარტში დაამტკიცა. ისინი უჩვენებს, რომ ხარისხიანი სტატისტიკა

და რეაგირების ღონისძიებათა ჩამოყალიბებას ადგილობრივ და ეროვნულ დონეებზე და ხელს უშლის გლობალურ ჭრილში იძულებითი გადაადგილების სიტუაციათა სიმწვავის აღქმას. იგი ამავდროულად შეუძლებელს ხდის სრულად იქნეს გააზრებული ურბანული გადაადგილების ფენომენი.

რეაგირება გაჭიანურებულ იძულებით გადაადგილებაზე და პრობლემის გადაწყვეტის მხარდაჭერა

გაჭიანურებული იძულებითი გადაადგილების მდგომარეობაში მყოფ პირთათვის გრძელვადიანი გადაწყვეტის განხორციელება ნელა მიმდინარეობს და იგი ადვილად მისაღწევი არ არის. გაჭიანურებულმა იძულებითმა გადაადგილებამ შეიძლება ამოწუროს იგპ-თა და მასპინძელ საზოგადოებათა გამძლეობა და გაზარდოს სიღარიბე, მარგინალური მდგომარეობა, უთანასწორობა და მოწყვლადობა. ეს ხელს უშლის მთელი რეგიონების ან ქვეყნების მდგრად განვითარებას. ამან შეიძლება აგრეთვე ხელი შეუწყოს განახლებული კრიზისების და იძულებითი გადაადგილების წარმოქმნას, რასაც შეუძლია ფუჭად აქციოს განვითარების გზაზე მიღწეული შედეგები.

მიზანი

ამ სამოქმედო გეგმის მიზანია იძულებითი გადაადგილების შემცირება და მოგვარება იძულებითი გადაადგილების პრევენციის, იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვის და მათი პრობლემების გადაჭრის გზით. სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისობის თვალსაზრისით, ეს ნიშნავს ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომლებიც უზრუნველყოფს იძულებითი გადაადგილების გამომწვევი პირობების თავიდან არიდებას, იგპ-თა დაცვას, დახმარებას და დევნილობის პერიოდში მათ გაძლიერებას, ასევე, მათ მიერ გრძელვადიანი გადაწყვეტის მიღწევის ხელშეწყობას.

ამოცანები

სამოქმედო გეგმა ხელს შეუწყობს დასახული მიზნის მიღწევას 2018-2020 წლებში, ქვემოთ ჩამოთვლილი ამოცანების მეშვეობით, რომლებიც ზემოთ მითითებულ ოთხ პრიორიტეტულ სფეროზე არის ორიენტირებული:

- იგპ-თა მონაწილეობის გაძლიერება გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, რომლებიც მათზე ახდენს ზემოქმედებას, იმ იგპ-თა ჩათვლით, რომლებიც შესაძლოა განსაკუთრებით მოწყვლადნი ან მარგინალიზებულნი იყვნენ;
- ქვეყნის შიგნით იძულებითი გადაადგილების სფეროში ეროვნული კანონებისა და პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება და განხორციელება;

მხოლოდ რამდენიმე ქვეყანას აქვს. ისინი რეკომენდაციას იძლევიან, თუ როგორ შეიძლება სახელმძღვანელო პრინციპების პრაქტიკაში განხორციელება ოფიციალური სტატისტიკის მეშვეობით. იხ. https://unstats.un.org/unsd/statcom/49th-session/documents/BG-Item3m-IDPStat-E.pdf for the report

- დაინტერესებულ მხარეთა რაოდენობის გაზრდა, რომლებსაც იძულებითი გადაადგილების შესახებ მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და ხარისხობრივი მონაცემების გამოყენების საშუალება ექნებათ, რაც ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებაზე ეფექტური რეაგირების შემუშავებისთვის არის საჭირო;
- სახელმწიფოთა ჩართულობის გაზრდა, რათა მათ წამყვანი როლი შეასრულონ იგპ-თა პრობლემების გადაწყვეტაში, მათ შორის, მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) განხორციელების გზით.

ამ ამოცანების შესრულებისას, სამოქმედო გეგმა მეტი სტრატეგიული და თანამშრომლობითი დიალოგის, ქმედებისა და რესურსების კონცენტრირებას მოახდენს ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ დონეებზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული დევნილობის გამომწვევი პირობების შექმნა, მოხდეს მასზე რეაგირება და მოგვარდეს ქვეყნის შიგნით იძულებითი გადაადგილების პრობლემა. ამავდროულად, ეს საფუძველს ჩაუყრის და წვლილს შეიტანს შესაძლო მაღალი დონის ინიციატივის შემუშავებაში ქვეყნის შიგნით იძულებითი გადაადგილების მოსაგვარებლად სინერგიითა და კოორდინაციით ამ GP20 სამოქმედო გეგმასთან ერთად, რაც მაქსიმალურად გაზრდის საბოლოო შედეგს.

ამ ამოცანათა მიღწევისთვის საჭირო მოქმედება ძირითადად - მაგრამ, არა მხოლოდ - ეროვნულ დონეზე იქნება მიმართული. ვინაიდან ქვეყნის შიგნით იძულებითი გადაადგილების თავიდან აცილებაზე, შემსუბუქებასა და მოგვარებაზე უპირველესი პასუხისმგებლობა სახელმწიფოებს ეკისრებათ, საჭიროა კოლექტიური მოქმედების დაწყება ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე, სადაც წამყვან როლს სახელმწიფოები შეასრულებენ. ეს შესაბამისობაშია ჰუმანიტარული წრეების მზარდ შეხედულებასთან, რომ საჭიროა ინვესტიციების, რესურსებისა და უწყებების გადანაწილება ადგილობრივ აქტორებზე. ამავდროულად, იძულებითი გადაადგილების სფეროში ეროვნული და ადგილობრივი მოქმედება, სახელმწიფოებს ხელს შეუწყობს „მდგრადი განვითარების 2030 პროგრამის“, „ახალი ურბანული პროგრამის“, „ბუნებრივი კატასტროფების შემცირების სენდაის ჩარჩო შეთანხმებისა“ და „პარიზის კლიმატის ხელშეკრულების“ საფუძველზე ნაკისრი საერთაშორისო პოლიტიკის ვალდებულებათა შესრულებაში. ამ მოქმედების გეგმის ფარგლებში შეიძლება ჩამოყალიბდეს საერთო გზავნილები და იძულებით გადაადგილებულ პირებს საშუალება მიეცეთ, ჩაერთონ ამ და სხვა პოლიტიკის დოკუმენტების ფარგლებში მიმდინარე ფორუმებსა და პროცესებში.

შესაძლებლობათა გამოყენება ასევე მოხდება რეგიონულ და გლობალურ დონეებზე, რათა ამ დონეებზე მოღვაწე სუბიექტებმა ყურადღება მიაქციონ ქვეყნის შიგნით იძულებითი გადაადგილების საკითხს და ასეთი გადაადგილების საკითხები შესაბამის პოლიტიკურ პროცესებში ჩართონ. იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული რეგიონული შესაძლებლობები

მოიცავს ისეთ ინსტიტუტებს, როგორებიცაა, „ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის ინტერ-ამერიკული ადამიანის უფლებათა სისტემა“, „ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია“ და „ევროპის საბჭო“. 2019 წელს „კამპალას კონვენციას“ ათი წელი უსრულდება, რაც კიდევ ერთი საშუალებაა აფრიკაში პროგრესის დასაჩქარებლად ქვეყნის შიგნით იძულებითი გადაადგილების პრევენციის, რეაგირების და მოგვარების მიმართულებით - „აფრიკის კავშირთან“, აფრიკის ადამიანის უფლებათა სისტემის ორგანიზაციებთან და, ასევე, აფრიკის რეგიონულ ინსტიტუტებთან თანამშრომლობის გზით.

ნაბიჯები, რომლებიც შეიძლება გადადგას ყველა დაინტერესებულმა მხარემ

ეროვნული და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს, იძულებით გადაადგილებულ პირებს, მასპინძელ თემებს, გაეროს ინსტიტუტებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის მოძრაობას, მეცნიერებს, განვითარების ფინანსურ ინსტიტუტებს, ადამიანის უფლებათა ორგანიზაციებსა და კერძო სექტორს მოუწოდებენ, 2018-2020 წლებში განახორციელონ აქ შემოთავაზებული მოქმედებები და ამ მიზნით განავითარონ მრავალმხრივი პარტნიორობა დაინტერესებულ მხარეთა შორის. ქვემოთ მოცემული მოქმედებების მიზანია ქვეყნის შიგნით იძულებითი გადაადგილების სფეროში განხილვებისა და მოქმედების ინიცირება და გააქტიურება ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ დონეებზე, მოქმედების გეგმის ამოცანებისა და მიზნის შესაბამისად.

ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ დონეებზე GP20-ის თავდაპირველი მოქმედებები შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- ცნობიერების ამაღლება და დებატების ორგანიზება კოლეგებთან და სხვა საკონტაქტო პირებთან მოქმედების გეგმისა და პოტენციური აქტივობების შესახებ;
- GP20 ინიციატივების შესახებ იდეების ჩამონათვალის შექმნა, რათა მათი განხილვა მოხდეს შესაბამის ადგილობრივ ფორუმებზე, მაგალითად, იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებულ სამთავრობო სტრუქტურებთან, ადგილობრივ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებთან, გაეროს უწყებათაშორისი კოორდინაციისა და გადაწყვეტილების ორგანოსთან, არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორციუმთან, და სხვა;
- მოქმედების გეგმის და სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ ინფორმაციისა და იძულებითი გადაადგილების შესახებ სხვა საკვანძო რესურსების განთავსების უზრუნველყოფა ინსტიტუციურ ვებგვერდებზე;
- სახელმძღვანელო პრინციპების მნიშვნელობის დემონსტრირება, მათ შორის, მათი ჩართვის მეშვეობით ახალი პერსონალისათვის გასაცნობ მასალებში და სასწავლო ღონისძიებებში, სადაც აქცენტი გაკეთდება სახელმძღვანელო პრინციპების ფუნდამენტურ მნიშვნელობაზე.

აქტივობები

ზემოთ შემოთავაზებულ საწყის აქტივობებზე დაყრდნობით, ცნობიერების ამაღლების, გამოხატვის და შთაგონების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელებისა და GP20-ის საიუბილეო თარიღის აღნიშვნის მიზნით, ქვემოთ მოცემულია უფრო არსებითი აქტივობები ოთხი პრიორიტეტული საკითხის ირგვლივ. დაინტერესებულ მხარეებს მოუწოდებენ, გასცდნენ ამ აქტივობათა ფარგლებს და იყვნენ მაქსიმალურად თვალსაჩინო, ამბიციური და კონკრეტული.

GP20-ის ინიციატივები შემდეგ პარამეტრებზე უნდა იყოს ორიენტირებული:

- ეროვნული პრიორიტეტების შესახებ მრავალწლიანი აქტივობები მრავალი დაინტერესებული მხარის მონაწილეობით, რაც დაეხმარება ქვეყნის შიგნით იძულებითი გადაადგილებით დაზარალებული სახელმწიფოების ლიდერებს და განამტკიცებს სახელმწიფოთა უპირველეს პასუხისმგებლობას იძულებითი გადაადგილების პრევენციის, დაცვისა და გადაწყვეტის მიმართ, როგორც ეს სახელმძღვანელო პრინციპებშია ხაზგასმული;
- სახელმძღვანელო პრინციპების გამოყენება იძულებითი გადაადგილების პრევენციის, მოგვარებისა და გადაწყვეტისთვის, ხოლო მისი მე-20 წლისთავის ფონზე დიალოგის და მოქმედების გააქტიურება, რომელიც ორიენტირებული იქნება პრევენციის, დაცვისა და გადაწყვეტის ღონისძიებებზე იძულებითი გაადაადგილებით დაზარალებულ სახელმწიფოებთან და მათ პარტნიორებთან ერთად;
- მუნიციპალური, რეგიონალური და ეროვნული ორგანოები ხელმძღვანელობენ GP20-ის ფარგლებში განხორციელებულ აქტივობას, რომლის მფლობელებიც არიან სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები ეროვნულ დონეზე, მაგალითად, იძულებით გადაადგილებული პირები და მათი ასოციაციები და ლიდერები, კერძო სექტორი, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები და სამეცნიერო წრეები.

იძულებით გადაადგილებულ პირთა მონაწილეობის ხელშეწყობა და გაძლიერება

სახელმძღვანელო პრინციპები კვლავ ადასტურებს იძულებით გადაადგილებული პირების მონაწილეობის უფლებას პროგრამებში და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, რომლებიც მათზე ახდენს ზემოქმედებას.[13] ეს მოიცავს მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზს, კანონებსა და პოლიტიკურ დოკუმენტებს ქვეყნის შიგნით იძულებითი გადაადგილების შესახებ, ეროვნული და ადგილობრივი განვითარების

[13] გაეროს სპეციალური მომხსენებელი იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებათა საკითხებზე, 2017 წლის 24 ივლისი, სპეციალური მომხსენებლის ანგარიში იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებათა შესახებ, A/72/202, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: www.ohchr.org/Documents/Issues/IDPersons/A-72-202.pdf

გეგმების შედგენას, სამშვიდობო მოლაპარაკებებსა და გრძელვადიან გადაწყვეტას. ყურადღება უნდა მიექცეს იმ იძულებით გადაადგილებულ პირთა ჩართულობას, რომლებიც განსაკუთრებით მოწყვლადნი არიან, ქალების, ბავშვების, ხანდაზმულებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩათვლით.

დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ განახორციელონ შემდეგი მოქმედებები:

- განვითარებისა და სამშვიდობო პროცესებში იძულებით გადაადგილებულ პირთა და მასპინძელი თემების მონაწილეობის ხელშეწყობა და დახმარება, მაგ., სამშვიდობო პროცესებზე მიმდინარე დისკუსიებში იგპ-თა გამოცდილებისა და რჩევებისთვის პლატფორმის უზრუნველყოფა, ასევე, სხვა პროცესებში, როგორიცაა, „პროგრამა - 2030“, გაეროს გენერალური მდივნის პრევენციული პროგრამა და გაეროს უფრო ზოგადი რეფორმები;
- პოლიტიკურ პროცესებში იძულებით გადაადგილებულ პირთა შეუფერხებელი მონაწილეობის უზრუნველყოფა, დოკუმენტებზე, ხმის მიცემის უფლებასა და სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებაზე ხელმისაწვდომობის ჩათვლით, მაგალითად, საინფორმაციო და ცნობიერების ამაღლების კამპანიები, რათა იძულებით გადაადგილებულ პირებს აცნობონ ხმის მიცემის უფლებისა და ამ უფლების გამოყენების პროცესების შესახებ;
- იძულებით გადაადგილებულ პირთათვის მათი პრიორიტეტების განსაზღვრისა და რეალიზებისთვის საჭირო პლატფორმის შექმნაში ან განმტკიცებაში დახმარების გაწევა და ამ პრიორიტეტების განხილვა უწყებათაშორის ფორუმებზე, რამაც ხელი უნდა შეუწყოს პროგრამების შექმნას, სტრატეგიის შემუშვებას ან მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზს, მაგალითად, იგპ-თა არსებული ქსელების შესაძლებლობათა გაძლიერება და თვალსაჩინოდ წარმოჩენა, რაც ხელს შეუწყობს მათი პრიორიტეტების წარმოჩენას.

ქვეყნის შიგნით იძულებითი გადაადგილების შესახებ კანონებისა და პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობა

ათობით სახელმწიფოს მიღებული აქვს კანონები და პოლიტიკის დოკუმენტები ქვეყნის შიგნით იძულებითი გადაადგილების შესახებ, რომლებიც შესაბამისობაშია სახელმძღვანელო პრინციპებთან. GP20-ის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებით, შესაძლოა, სახელმწიფოებს მეტი სურვილი გაუჩნდეთ, სახელმძღვანელო პრინციპები ჩართონ მათ ეროვნულ კანონებსა და პოლიტიკის დოკუმენტებში, ასევე, განვითარების, ინვესტიციებისა და შესაბამისი სექტორული დაგეგმვის სტრატეგიებში. ამავდროულად, ეს ხელს შეუწყობს არსებული ეროვნული კანონმდებლობის შემდგომი განვითარებისა და განხორციელების ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფას და ეროვნული მონიტორინგის მექანიზმების შექმნას, რომლებიც კანონებისა და პოლიტიკის დოკუმენტების ეფექტიან განხორციელებას მოემსახურება. ეროვნული განვითარების სტრატეგიებთან და მიზნებთან ასეთი კანონებისა და პოლიტიკის დოკუმენტების დაკავშირება და მათი განხორციელების

მონიტორინგი ხელს შეუწყობს იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემების მოგვარების გზების განსაზღვრას.

დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ განახორციელონ შემდეგი ღონისძიებები:

- იძულებით გადაადგილებულ პირებთან კონსულტაციების ორგანიზება, სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და იძულებითი გადაადგილების სფეროში ეროვნული კანონებისა და პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებაში მათი შეხედულებების ჩამოყალიბებისა და მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით;
- ქვეყნის შიგნით იძულებითი გადაადგილების შესახებ კანონმდებლობის განვითარებისა და განხორციელების საკითხებზე სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელსაც მთავრობა უხელმძღვანელებს;
- სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ სემინარების ორგანიზება და იგპ კანონმდებლობის და პოლიტიკის დოკუმენტების განვითარება და განხორციელება სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან ერთად, სხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით.

იძულებითი გადაადგილების პრევენციის, მასზე რეაგირების და გრძელვადიანი გადაწყვეტის შესახებ ხარისხიანი მონაცემების შექმნა და ანალიზი

სახელმწიფოებს დასჭირდებათ იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ შესაბამისი საბაზისო მონაცემები, მათი ასაკის, გენდერის და ადგილმდებარეობის მიხედვით გაშლილი, რათა უზრუნველყოფილი იქნას მათი მონაწილეობა მდგრადი განვითარების მიზნებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში. GP20-ის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებს შეუძლია განამტკიცოს ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე იძულებითი გადაადგილების შესახებ მონაცემთა შეგროვების, ანალიზისა და მათი ეფექტიანი გამოყენების პროცესი, ლტოლვილთა და იგპ-თა სტატისტიკის ექსპერტთა ჯგუფის (EGRIS) რეკომენდაციების შესაბამისად. მას ასევე შეუძლია ყურადღება გაამახვილოს კრიზისებისა და იძულებითი გადაადგილების რისკფაქტორების შესახებ მონაცემთა საჭიროებაზე, მეთოდოლოგიასთან ერთად, რომელიც გრძელვადიანი გადაწყვეტის მიღწევის პროგრესის გაზომვის საშუალებას იძლევა.

დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ განახორციელონ შემდეგი ღონისძიებები:

- ქვეყნის შიგნით იძულებითი გადაადგილების შესახებ მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და გამოყენების ეროვნული შესაძლებლობების გაძლიერება, ლტოლვილთა და იგპ-თა სტატისტიკის ექსპერტთა ჯგუფის (EGRIS) რეკომენდაციების შესაბამისად, რის საფუძველზეც 2018-2019 წლებში შეიქმნება საერთაშორისო დონეზე მისაღები სტატისტიკური ჩარჩო იგპ-თა სტატისტიკისთვის, ასევე, შესაბამისი მექანიზმები და ინსტრუქციები იგპ-თა ოფიციალური სტატისტიკის საწარმოებლად;

- იგპ-თა შესახებ სტატისტიკის გაუმჯობესება, რათა შესაძლებელი გახდეს მათი შედარება და კომბინირება სხვა შესაბამისი მოსახლეობის მონაცემებთან, რაც საბოლოოდ მიზნად ისახავს გაუმჯობესებული მტკიცებულებათა ბაზის შექმნას - უკეთ ინფორმირებული და ერთობლივი მოქმედებისთვის იძულებითი გადაადგილების შესახებ;
- ქვეყნის შიგნით იძულებითი გადაადგილების ანალიზის ხელშეწყობა უფრო ფართო კონტექსტში, იძულებითი გადაადგილების სოციალურ და ეკონომიკურ ინდიკატორებზე, ურბანულ სისტემებზე, მმართველობასა და პოლიტიკურ გარემოზე ზემოქმედების კვლევის ჩათვლით, რომლის საბოლოო მიზანიც არის იგპ-თა ჩართვა ადგილობრივი და ეროვნული დონის განვითარების გეგმებში.

რეაგირება გაჭიანურებულ იძულებით გადაადგილებაზე და გრძელვადიანი გადაწყვეტის მხარდაჭერა

GP20-ს შეუძლია მოახდინოს მრავალი დაინტერესებული მხარის ჩართულობის კონცენტრირება იგპ-თა თვითკმარობისა და მედეგობის გაზრდის მიზნით და ხელი შეუწყოს გრძელვადიან გადაწყვეტას IASC-ის ჩარჩოს („იგპ-თა გრძელვადიანი გადაწყვეტის ჩარჩო“) შესაბამისად. ამის მიღწევა, მაგალითად, შესაძლებელია: ეროვნული განვითარების გეგმებში და სოციალური უსაფრთხოების ქსელებში იგპ-თა და მასპინძელი თემების ჩართვით; იგპ-თვის და მასპინძელი თემებისთვის შემოსავლის გენერირებისა და საარსებო წყაროების მოპოვების შესაძლებლობათა გაზრდით; საცხოვრებელთან და მიწასთან დაკავშირებული დავების მოგვარებით; ერთობლივი ჰუმანიტარული და განვითარების მიდგომებით, მათ შორის, გაზომვადი კოლექტიური შედეგების განსაზღვრის მეშვეობით; და კარგი პრაქტიკის მაგალითების შეგროვებითა და გავრცელებით.[14]

დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ განახორციელონ შემდეგი ღონისძიებები:

- იძულებითი გადაადგილებით დაზარალებულ ქვეყნებში პრიორიტეტებისა და პროგრამების გადასინჯვა, რათა დადგინდეს, თუ რამდენად ეხმარება ეს ინიციატივები იძულებით გადაადგლებულ პირებს თვითკმარობის მიღწევაში, და რომ რეაგირებაში გათვალისწინებულია მასპინძელ თემებზე ზემოქმედება;
- ეროვნული მთავრობებისა და იგპ-თა ჩართვა დიალოგში, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ქვეყნის შიგნით იძულებითი გადაადგილების გრძელვადიანი გადაწყვეტისთვის პრიორიტეტის მინიჭება მათი ეროვნული და რეგიონული დაგეგმვის პროცესში, IASC-ის ჩარჩოს („იგპ-თა გრძელვადიანი

[14] გაეროს ჰუმანიტარულ საქმეთა კოორდინაციის ოფისი (OCHA), 2017 წლის მაისი, ჩიხი დაძლევა: გაჭიანურებული დევნილობის შემცირება, როგორც კოლექტიური შედეგი; ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://www.unocha.org/sites/unocha/files/Breaking-the-impasse.pdf

გადაწყვეტის ჩარჩო“) გამოყენებით, და გადაადგილების ფაქტორის გათვალისწინება მათ მიერ SDG-ების განხორციელების გეგმაში;

- სახელმწიფოებს, იძულებით გადაადგილებულ პირებს, ჰუმანიტარული და განვითარების პროგრამების პარტნიორებს, დონორებს, სამოქალაქო საზოგადოებას, კერძო სექტორს და სხვა შესაბამის სუბიექტებს შეუძლიათ ერთობლივად განახორციელონ შემდეგი ღონისძიებები: 1) იძულებით გადაადგილებულ პირთა და მათი მასპინძლების დაცვის რისკების, საჭიროებების, მოწყვლადობისა და შესაძლებლობათა ანალიზი; 2) იძულებითი გადაადგილების გაჭიანურების მიზეზების განსაზღვრა; 3) სტრატეგიული, მკაფიო და რაოდენობრივად განსაზღვრული კოლექტიური შედეგების შეთანხმება და განხორციელება.

კოორდინაცია და მხარდაჭერა

ყველა დაინტერესებულ მხარეს ვთხოვთ, გაგვაცნონ GP20-ის აღსანიშნავად მათ მიერ დაგეგმილი და მოსალოდნელი აქტივობები. ეს შეიძლება უშუალოდ გაუგზავნოთ GP20-ის კოორდინატორს (GP20@unhcr.org) ან განათავსოთ GP20-ის ვებგვერდზე (http://www.globalprotectioncluster.org/en/news-and-events/gp20-activities-and-initiatives.html), რომელიც გლობალური დაცვის კლასტერის ვებგვერდზეა განთავსებული. დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ, თვითონ შექმნან GP20-ის ჰაბი ამ მოქმედების გეგმის შესაბამისად. GP20-ის კოორდინატორი მოახდენს GP20-ის აქტივობათა სისტემატიზებას, რათა ხელი შეუწყოს, თვალი მიადევნოს და წაახალისოს თანამშრომლობა, რაც საბოლოოდ ზემოქმედების გაძლიერებას გამოიწვევს.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მრავალსუბიექტიანი დაინტერესებული მხარეების არსებული ფორუმების თანმიმდევრული მოქმედებები ეროვნულ დონეზე, როგორებიცაა არასამთავრობო ორგანიზაციათა პლატფორმები, გაეროს მისიები, ჰუმანიტარული დახმარების მისიები და საველე დაცვის კლასტერები, GP20-ის კოორდინატორმა და სამეთვალყურეო ჯგუფმა უნდა გამოავლინონ ეს ფორუმები და დაამყარონ მათთან კონტაქტი, რათა მოხდეს მხარდაჭერისა და ჩართულობის მობილიზება ამ მოქმედების გეგმაში. ვინაიდან ამ მოქმედების გეგმის განხორციელებისთვის რესურსები მობილიზებული არ არის, ინიციატივები, რომლებიც ფინანსურ ან ტექნიკურ დახმარებას საჭიროებენ, კონცეპტუალური დოკუმენტის ფორმატში უნდა გაეგზავნოს GP20-ის კოორდინატორს, რომელიც დახმარების გზებს მოიძიებს.

სამეთვალყურეო ჯგუფი, რომელსაც თავიდანვე UNHCR და OCHA ხელმძღვანელობს, ზედამხედველობას გაუწევს GP20 მოქმედების გეგმის განხორციელებას და ხელს შეუწყობს დაინტერესებულ მხარეებთან კონტაქტის დამყარებასა და მათ

ჩართულობას ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ დონეზე საბოლოო მიზნის მიღწევაში, რომელიც ითვალისწინებს იძულებითი გადაადგილების შემცირებასა და გადაწყვეტას იგპ-თა პრევენციის, დაცვისა და მათი პრობლემების მოგვარების გზით. GP20-ის კოორდინატორი დახმარებას გაუწევს სამეთვალყურეო ჯგუფს მოქმედების გეგმის განხორციელების მონიტორინგში და მიღწეული პროგრესის შეფასებაში, განსაკუთრებით, პრიორიტეტულ საკითხებთან დაკავშირებით. GP20-ის კოორდინატორი შეაგროვებს და გაავრცელებს ანგარიშებს მოქმედების გეგმის მიმდინაროების შესახებ, ამავდროულად ხელს შეუწყობს დაინტერესებულ მხარეებთან კონტაქტის დამყარებას და მათი ჩართულობის მობილიზებას, და დახმარებას გაუწევს მოქმედების გეგმის განხორციელებას.

სამეთვალყურეო ჯგუფის შემადგენლობა ყოველწლიურად განახლდება, თავმჯდომარის ცვლილებასთან ერთად. დაინტერესებულ მხარეთა ძირითადი ჯგუფის წევრები იქნებიან წევრი სახელმწიფოები, გაეროს ინსტიტუტები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მსოფლიო ბანკი და წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის მოძრაობა. სპეციალური მომხსენებელი გააგრძელებს სპეციალური მრჩეველის ფუნქციის შესრულებას. სამეთვალყურეო ჯგუფი მოქმედების გეგმის განხორციელებას არსებულ შესაძლებლობებს დააფუძნებს, თვალსაჩინოს გახდის GP20-ის აქტივობებს და ხელს შეუწყობს იძულებით გადადგილებაზე რეაგირების ძალისხმევას. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ძირითადი დაცვისა და ჰუმანიტარული ხელმისაწვდომობის საკითხებს და ძალისხმევას მიმართავს ამ სიტუაციათა ხელშეწყობაზე და, ამავდროულად, უფრო მკაფიოდ წარმოაჩენს ეროვნულ პასუხისმგებლობას იგპ-თა დაცვზე.

კომუნიკაციის გეგმა

მოქმედების გეგმის განხორციელებას ხელს შეუწყობს კომუნიკაციის გეგმა, საერთო მესიჯების შემუშავების მეშვეობით. ამ ერთობლივი მესიჯების მიზანია მნიშვნელოვანი კონფლიქტებისა და კატასტროფების შესახებ ცნობიერების ამაღლება, ასევე დევნილობის სხვა ტიპების შესახებ, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს იძულებით გადაადგილებულ პირებზე. სხვადასხვა დაინტერესებული მხარისაგან შემდგარი GP20-ის ჟენევის კომუნიკაციის სამუშაო ჯგუფი ზედამხედველობას გაუწევს კომუნიკაციის გეგმის შესრულებას და მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას მიაწვდის სამეთვალყურეო ჯგუფს. კომუნიკაციის გეგმაში მოცემულია ძირითადი მესიჯები, გრაფიკი საკვანძო თარიღებით და ჩამოყალიბებულია საკომუნიკაციო ინიციატივები, ყველა დაინტერესებული მხარის მიერ ერთობლივად გამოსაყენებელი არხებისა და მექანიზმების ჩათვლით. გეგმა ხელმისაწვდომი იქნება ონლაინში და ბმულის შესახებ შეტყობინება გაეგზავნება ყველა დაინტერესებულ მხარეს.

გრაფიკი და მოქმედების პუნქტები

აპრილი, 2018	▪ დაინტერესებული მხარეების შეხვედრა სპეციალურ მომხსენებელთან ჟენევაში ▪ GP20-ის მოქმედების გეგმის წარდგენა და დამტკიცება ▪ მიღება ჟენევაში სახელმძღვანელო პრინციპების მე-20 წლისთავის აღსანიშნავად
მაისი, 2018	▪ GP20-ის სამეთვალყურეო ჯგუფის ფორმირება ▪ სამეთვალყურეო ჯგუფის პროფილის დამტკიცება
ივნისი, 2018	▪ GP20-ის სამეთვალყურეო ჯგუფის პირველი შეხვედრა
2018-2020	▪ GP20-ის მოქმედების გეგმის მხარდამჭერი ქმედება
2019	▪ „კამპალას კონვენციის“ მე-10 წლისთავის აღსანიშნავი ღონისძიება
2020	▪ მაღალი დონის ღონისძიება ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებასთან დაკავშირებით (დასაზუსტებელია)

დანართი - ამ მოქმედების გეგმის შემუშავება

ამ მოქმედების გეგმის შემუშავების ინიციატორები არიან გაეროს სპეციალური მომხსენებელი იგპ ადამიანის უფლებათა საკითხებში, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი (UNHCR) და გაეროს ჰუმანიტარულ საქმეთა კოორდინაციის ოფისი (OCHA). 2017 წლის სექტემბერში სპეციალურმა მომხსენებელმა ჟენევაში ჩაატარა დაინტერესებულ მხარეთა შეხვედრა, სადაც ფართოდ დაუჭირეს მხარი სახელმძღვანელო პრინციპების მე-20 წლისთავის აღნიშვნას და ერთობლივი მუშაობისთვის შეთანხმდნენ ოთხ პრიორიტეტულ საკითხზე, რათა შემცირდეს და მოგვარდეს ქვეყნის შიგნით იძულებითი გადაადგილება.

ამ მოქმედების გეგმის შემუშავების პროცესი 2017 წლის დეკემბერში დაიწყო. კონსულტაციები ჩატარდა ორმოცდაათზე მეტ დაინტერესებულ მხარესთან, გაეროს სხვადასხვა უწყებების, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორციუმის, მეცნიერების, წევრი სახელმწიფოების, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის და იძულებითი გადაადგილების სფეროს სხვა ექსპერტების ჩათვლით.

ეს მოქმედების გეგმა წარადგინეს ჟენევაში, 2018 წლის 17 აპრილს, სპეციალური მომხსენებლის მიერ მოწვეულ ღონისძიებაზე, რითაც აღინიშნა გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის მიერ 1998 წელს მიღებული სახელმძღვანელო პრინციპების მე-20 წლისთავი. მოქმედების გეგმის წარდგენის შემდეგ საზეიმო ღონისძიება გაიმართა. მოქმედების გეგმა გადაეცემა სამეთვალყურეო ჯგუფს, მის განხორციელებაზე ზედამხედველობისთვის.

ეს მოქმედების გეგმა ასევე საფუძველს ჩაუყრის და ხელს შეუწყობს შესაძლო მაღალი დონის ინიციატივას, რომლიც სახელმწიფოებს დაეხმარება ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებასთან გამკლავებაში და სხვა დაინტერესებულ მხარეებს უკეთ დაანახებს იძულებითი გადაადგილების რეგიონულ და გლობალურ მნიშვნელობას, გამოკვეთავს იმ ღონისძიებებს, რომლებიც ხორციელდება და შეიძლება განხორციელდეს ამ ფენომენის პრევენციის, მასზე რეაგირებისა და გადაწყვეტის მისაღწევად.

ეს ინიციატივა, სხვა ღონისძიებებთან ერთად, ხელს შეუწყობს ძირითადი ვალდებულებების განსაზღვრას, რათა შესრულებული იქნეს 'მდგრადი განვითარების პროგრამა 2030', რომლის ძირითადი ლოზუნგია 'არავინ ჩამოგვრჩეს' - ეს არის გენერალური მდივნის მიერ გამოცხადებული პრევენციის პროგრამა და გაეროს განვითარების სისტემის რეფორმა, რამაც შეიძლება დახმარება გაუწიოს იძულებით გადაადგილებულ პირებს - პრევენციის, დაცვისა და იძულებითი გადაადგილების პრობლემის გადაწყვეტის მეშვეობით.